კვირა, 14 ნოემბერი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 კვირა, 14 ნოემბერი, 1904 წ.


**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 261 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 261

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.

2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.

3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



განცხადებანი იმ კერძო კაცთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც იმყოფებიან ანუ რომელთაც აქვთ თავიანთი უმთავრესი კანტორები თუ მმართველობანი კავკასიისა და იმიერ-კასპიის მხარეს გარეშე, მიიღებიან მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. ე. მეტცლის და ამხ.-ის განცხადებათა კანტორის მიერ: Москва, Краковское предмѣстье, 53, Парижъ, 8 Площадь Биржи.

კავკასიის გარეშე ქალაქებიდან მიღებულ განცხადების ფასი მე-4 გვერდზედ ორი შაური სტრიქონზე, ხოლო პირველზე—ერთი აბაზი.

**თევდორე მარკოზის ძე კუჩავა შვილებითურთ** და **თომა დიმიტრის ძე ჯანჭარაშვილი** მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი—შვილისას და მეორე—ცოლის ძმის

**ვანო თევდორეს ძის კუჩავასას**

მიცვალებულის გვამს გამოასვენებენ თავის სადგომიდგან (მუხრანის ქუჩა, მირზოევის სახლი, № 9), დღეს, 14 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, და კუკიის სასაფლაოზედ დასაკრძალავად.

დღეს, 14 ნოემბერს, განსვენებულ

**იოსებ ზოსიმეს ძის ბაქრაძის**

სულის მოსახსენებლად, გარდახდილ იქმნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი ჩუღურეთის ნიკოლოოზის ეკკლესიაში, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ დედა გარდაცვალებულისა **ეკატერინე სიმონის ასული** და ცოლი მისი **ელისაბედ ანტონის ასული შვილებითურთ**. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ, ხოლო პანაშვიდი 12 საათზედ.

ტელეფონი № 63. აბონემენტის რიცხვში წარმოდგენა № 5.

## სახაზინო თეატრი

ოთხშაბათს, 17 ნოემბერს 1904 წ.

ქართულის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება პირველად

I

ახალი პიესა

**საქმის კაცი**

(ფულის ძალა)

დრამა 3 მოქმ., მირბოსი, თარგ. ღორთქიფანიძისა.

II

**საიდუმლო**

ეტიუდი 1 მოქმედ. ტიგონოვისა, თარგმ. კ. მათიაშვილისა.

**მონაწილეობას მიიღებენ**: ქ-ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ა. კარგარეთელი, ნ. ჩხეიძე, ჯავახიშვილი და სხვ.; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვალ. გუნია, ივანიძე, მესხი, მატარაძე, სვიმონიძე, სარჯველაძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი, ჩარკვიანი ‘ სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ◆ **დასაწყისი საღამოს 8 საათ.**

ამხანაგობის დირექცია. მორიგი რეჟისორი კ. მესხი.

შემდეგი წარმოდგენა—ბენეფისი ვას. აბაშიძისა.

მზადდება წარმოსადგენად: «იულიოს კეისარი», «მედეია», «ერნანი» და სხვ.

**დაიბეჭდა და დარიგდება გასასყიდად ყველგან**

**საყოველთაო სურათებიანი კალენდარი**

შედგენილი **კ. თავართქილაძის-მიერ**

კალენდარში მრავალი საკალენდრო ცნობათა განყოფილების გარდა, მოთავსებულია ვრცელი სამეცნიერო და სალიტერატურო განყოფილება. კალენდარი შეიცავს 256 გვერდს და ჰღირს 20 კაპ. პარტიით მყიდველს დაეთმობა 40%.

**იბეჭდება და ამ თვის დამლევს გამოვა ამავე ავტორის**

**სურათებიანი კედლის კალენდარი,**

შევსებული მრავლ სასარგებლო ცნობებითა და წერილებით, მშვენივრად, ფერადის წამლებით დაბეჭდილს კარდონზედ (რუსეთშია მომზადებული). ფასი 40 კაპ. პარტიობით მყიდველს დაეთმობა 40%.

**ადრესი**: ტფილისი, კ. თავართქილაძე. (6—1).

**პირველი კერძო სამკურნალო**

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დ ი ლ ა ო ბ ი თ:**

**უ. მ. ჩიძოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. აშეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ჩ. ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კკრაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოღაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 1½—2 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:**

**გ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**პ. ა. არდაზიანი.** აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას. 5 7 საათ.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდამ საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

**ბაბაშვილი გრიგოლ,**—გოლუბევის ქუჩა, № 19.

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—დოროსმელიქოვის და ბართნის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ მესხიშვილის სახლი, № 18, იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 და საღამოთი 6—8-დე.

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტისტის

**ლ. დ. დონსკოისა**

კვირას, 14 ნოემბერს,

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება

**ნ ე რ ო ნ ი**

ოპერა 4 მოქ. 6 სურ., მუსიკა რუბინშტეინისა.

**მონაწილეობას მიიღებენ**: ქ-ნნი დიმიტრიევა-პოკასოვსკისა, ტომკევიჩისა, ბუნაკოვისა, ხარიტონოვისა და სხვ.; ბ-ნნი დონსკოი, პოლუიანოვი, გალეცკი, დემიანენკო, ბაგროვი, ზალინსკი, მურატოვი და სხვ.

ბალეტს განაგებს **ჯიოვასსი**. პრიმა-ბალერინა **ლენჩევსკაია**.

უფროსი რეჟისორი ს. ფ. გეცევიჩი კაპელმეისტერი ან. ეიხენვალდი.

**ფასები ჩვეულებრივია.**

დასაწყისი 8 საათზედ.

ორშაბათს, 15 ნოემბერს,

საქველ-მოქმედო აზრით წარმოდგენილი იქნება

I

M-lle **ფ ი ფ ი**

ოპერა 1 მოქმედ., მუსიკა ც. კიუისა.

II

სევილიელი დალაქი

ოპერა 3 მოქმ., მუსიკა როსსინისა.

სამშაბათს, 16 ნოემბერს,

ლ. დ. დონსკოის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება

**ფ ე ნ ე ლ ლ ა**

ოპერა 5 მოქმედ., მუსიკა ობერისა.

მზადდება წარმოსადგენად პირველად **«ალეკო»**, მუსიკა რახმანინოვისა და **«მანდარინის შვილი»**, ც. კიუისა.

**ბილეთები იყიდება.**

გამგე ი. კელლერი.


## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

**რა იქნება შემდეგ?** ცნობილს სამხედრო მიმომხილველს გრაფ. რიხარდ პფეილს დაუბეჭდია «რუსკი ლისტოკში» წერილი ასეთის სათაურით: «რა იქნება შემდეგ». მოგვყავს ეს წერილი მთლად:

«რას უნდა მოველოდეთ ახლა იაპონელთაგან?—კითხულობს პფეილი. სამი რამ შეიძლება მოჰხდეს: 1) შეიძლება მეორედ შეუტიონ მუკდენს და აიღონ ეს სიმაგრე, რომელსაც უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სტრატეგიული. 2) შესაძლოა, უმოქმედოდ გაჩერდნენ და დაუწყონ ლოდინი რუსთა თავდასხმას. 3) შეიძლება მოუცადონ პორტ-არტურის აღებას, იქ განთავისუფლებული ჯარებიც მოიშველიონ და მერე შეუტიონ მუკდენს. მე ვგონებ, რომ უფრო პირველს ირჩევენ, ესე იგი დააშურებენ მუკდენზე თავ-დასხმას. ამას იკისრებენ იმავე მოსაზრებით, რა მოსაზრებითაც ლიაოიანთან იხელმძღვანელეს. მაშინ ის აზრი ჰქონდათ, რომ დაემარცხებინათ რუსნი იმ დრომდე, ვიდრე აუარებელი ჯარი მოუვიდოდათ და უძლეველნი შეიქმნებოდნენ. გავკადნიერდები და ვიწინასწარმეტყველებ კიდეც, რომ იაპონელნი შეუტევენ მუკდენს უფრო ადრე, ვიდრე მერვე კორპუსი მთლად მიუვათ რუსებს. თქმა არ უნდა, რომ ამას გაჰბედავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავიანთი თავი ამ ჟამად საკმაოდ ღონივრად მიაჩნიათ. ის კი ძალიან საეჭვოა, რომ იაპონელები უმოქმედოდ გაჩერდნენ და დაიწყონ ლოდინი, დეე, თაოოსნობა შეტევისა რუსების ხელთ იყოსო. ასეთი ქცევა არ შეესაბამება ოიამას სამხედრო გეგმას, რომელსაც იგი ისეთის მედგრობით და სისტემატიურად ადგია. ამას გარდა, იაპონელთ არც შეუძლიანთ ხანგრძლივ ჰგზავნონ მაშველი ჯარები მანჯურიაში. რაიცა შეეხება პორტ-არტურის დამხობის ცდას, ეგეც ძალიან საჭოჭმანო და ძნელი გასაბედი საქმეა. პორტ-არტურმა, შესაძლოა, კიდევ რამდენიმე თვე გასძლოს, ხოლო ამ ხნის განმავლობაში რუსნი ისე გაძლიერდებიან, ისეთს სიმრავლეს შემოიკრებენ ჯარებისას, რომ იმათი დაძლევა შეუძლებელი-ღა შეიქმნება. ამის ლოდინს იაპონელნი არას გზით არ იკისრებენ. მით უფრო არ იკისრებენ, რომ მანამდე, თუმცა ინგლისი ბევრსა სცდილობს და ღვარძნილობს, მაინც ბალტიის ესკადრა უკვე მივა შორეულ აღმოსავლეთში ‘ იაპონელთა მდგომარეობა გაუარესდება. შესაძლოა, რომ იაპონელებმა ერთხელ-კი დევ შეუტიონ თავ-განწირულებით პორტ-არტურს. მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ მა შეტევასაც გაუძლებენ პორტ-არტურის ვაჟკაცნი და ისევე მოიგერიებენ ზედმიმსევთ, როგორც წინად მოიგერიეს. ხოლო თუ ეს არ მოჰხდა და პორტ-არტური დაეცა, იაპონელები შესდგებიან და მოუცდიან იქ განთავისუფლებულ ჯარის მოშველებას. როგორ უნდა მოიქცეს ასეთს ვითარებაში რუსეთის მხედრობა? ეს ადვილი სათქმელია: ვიდრე საკმაოდ არ გაძლიერდება, უნდა ცდასა ‘ ლოდინში იყოს. რა დრო უნდა იყოს სახელდობრ ამორჩეული თავდასხმისათვის? ეგ განსაკუთრებით მხედართ-მთავრის მოსაზრებაზეა დამოკიდებული. არავითარმა სხვა ფიქრმა და საზრუნავმა არ უნდა იმოქმედოს მაგ საქმის გადაწყვეტაზედ. იმ აზრმა და სურვილმაც კი, აი შევუტევთ მტერს, დავძლევთ და გავანთავისუფლებთ პორტ-არტურსაო, ამზლვის პირად და ფრიად შორს მდებარე ციხემ უიმისოდაც არა მცირე გავლენა იქონია კუროპატკინის ამა თუ იმ განკარგულებაზედ. გულჩვილობისა და სანტიმენტების სტრატეგია ფრიად საშიში საქმეა. ამისთანა სტრატეგიას ამას იქით აღარ უნდა ჰქონდეს ადგილი. პორტ-არტურის ციხის დაცვა დიდებული მაგალითია რუსთა ქველობისა და მამაცობისა მთელის ქვეყნიერობის წინაშე. ამ დაცვამ მიანიჭა რუსეთის მხედრობას ისეთი გვირგვინი, რომ სამუდამოდ დაიმსახურა სასიქადულო ადგილი ომთა ისტორიაში. ამ ადგილს მაინც ველარავინ წაართმევს იმ შემთხვევაშიაც კი, თუ გინდ ციხე დაეცეს კიდეც. უნდა მიტოვებულ იქმნას აგრეთვე იმედები და მოსაზრებანი, დამყარებულნი ფლოტსა და მისს ძლიერებაზედ. პორტ-არტურის ნავთ-სადგურში მდგომ გემების დაკარგვა, რასაკვირველია, სამძიმო დანაკარგი იქნება რუსეთისათვის, მაგრამ ის უფო სამძიმო იქნება, თუ ნაადრევად დაწყებულ შეტევის მიზეზით ომს წააგებს და ამ სახით საბოლოვო დამარცხება იაპონელთა გადაიდება განუსაზღვრელ დრომდე. მანჯურიის ლაშქარმა თავპირი უნდა დაამტვრიოს თავის ურიერს მტერს და წაართვას უნარი შემოტევისა, სატევის ბრძოლისა. მაშინ და მხოლოდ მაშინ შეიძლება ზრუნვა პორტ-არტურისათვის, თუ ბალტიის ესკადრა მოასწრობს, მივა დროზე და ისიც ისევე შეასრულებს თავის მოვალეობას, როგორც ხმელეთის ჯარი და მხედრობა. (რუს. ლისტ.).

—

**ომის სურათი.** გაზეთ «რუსსკი ინვალიდ»-ის სამხედრო მიმომხილველი ბ-ნი კრასნოვი აი რას იწერება ბრძოლის ველზედ უმთავრესის შტაბის მოქმედების შესახებ: ბინძურ, ნახევრად დანგრეულ ფარღალალა კედლებთან ჩინურ ქოხში მკრთალად ბჟუტავს სანთელი. იქვე მაგიდაზე გაშლილია რამდენიმე სამხედრო რუკა და სხვა-და-სხვა საჭირო ქაღალდები. მაგიდას ირგვლივ მოსხდომიან გენერლები სლუჩევსკი, დეკენლეინი, ცურიკოვი, გერშელმანი და ვასილიევი ‘ ბჭობა აქვთ გამართული მდინარე შახეს მარჯვენა ნაპირზე ზურგის ჯარის გადაყვანის შესახებ, რომ ამ ჯარით დაიკავონ იქ გამაგრებული პოზიციები. იქვე კუთხეში ზის მხარში დაჭრილი მე-9 დივიზიის უფროსი, უმთავრეს შტაბის პოდპოლკოვნიკი გუტორი. საწყალს გუშინ მხარში მოხვდა ტყვია, მაგრამ მეორე მხარეს ვერ გაუარა და ბეჭშივე გაუჩედა. ამოღება მოუნდომეს, მაგრამ უარი განაცხადა.

— არა, თუ ღმერთი გწამთ, ნუ ამოიღებთ, საშინლად მტკივა და სჯობს აქვე დარჩეს.

პოდპოლკოვნიკ მატკოვსკის ცხენს ხუთი ტყვია მოხვდა და იქვე მოჰკლა.

— რასაკვირველია, კარგია, რომმე უვნებელი გადავრჩი, მაგრამ ჩემი ცხენიც მეტად მწვავს გულს,—ამბობს ის სევდიანად.

მეტად დიდი ზარალი მოგვაყენა მტერმა მდინარე შახეზე,—ამბობს ბ-ნი კრასნოვი,—და ეს დღე სამუდამოდ ღირსსახსოვარი იქმნება ჩვენის მეათე კორპუსისათვის. პენზის ქვეითა პოლკის უფროსობას, კომანდირის მოკვლის გამო, უბრალო აფიცერი ეწევა, მოგვიკლეს საუკეთესო აფიცრები, მაგრამ მტერი ვერას ჰხდება და თვით ოკუს «რკინის ჯარის კაციც» ვერ უმაგრდება ჩვენს გამანადგურებელს ცეცხლსა და საშინელის ზარალით რამდენისამე საჟენით ძლივს მოდის წინს. მაგრამ ყური დაუგდეთ და გაიგეთ, რაზე ლაპარაკობენ იქვე მეზობლად მყოფ ქოხში... ელეცის პოლკის ერთი პორუჩიკი აკანკალებულის ხმით შემდეგს მოუთხრობს ამხანაგებს:

— ჩვენ ასე 400—600 ნაბიჯის მანძილზედ ვიყავით დაშორებულნი ერთმანეთისაგან. შუაში პატარა გორაკი იყო ამართული; საკმარისი იყო, რომ რომელსამე ჩვენგანს თავი მაღლა აეწია და—მშვიდობით წუთი-სოფელო!.. იაპონელნი წარმოუდგენელის სისწორით იღებენ ნიშანში და გასროლილს ტყვიას თავის დღეში არ ააცილებენ. საკვირველი მსროლელები არიან. სამი დღეა, რაც ამ ყოფაში ვართ და, ვინ იცის, კიდევ რამდენს ხანს დავრჩებით ამ მდგომარეობაში... ძმებო, ხომ არაფე-

რი იცით შტაკელბერგის მოძრაობის შესახებ? ნეტა ვიცოდე, როდის მოუვლის იაპონელთა ფრთას და როდი სჩვენსკენ წამოვა?

— შტაკელბერგმა ვერ შესძლო მტრის რაზმის გარღვევა და უკან დაიწია მთელის კორპუსით.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა ამის პასუხად.

— ეხლა კი მშვიდობით, ძმებო,—დაარღვია სიჩუმე პორუჩიკმა,—წავალ და ჩემს გვირაბში შევძვრები.

საშინლად ბნელი, ნოტიო და ცივი ღამეა. მთვარე არ ანათებს და რაღაც მძიმე წყვდიადში გახვეულა დედა-მიწა. სძინავთ საბრალო ჯარის კაცთ... სძინავთ ცივს მიწაზე, გათოშილთ, ნახევრად გაყინულთ, მშიერ-მწყურვალთ... ზოგი ფხიზლობს, მაგრამ ვაი ამ სიფხიზლეს: ცოცხალი ვინ გააღწევს დილამდის! ექვსი დღეა, რაც თოფების გრიალი არ შეწყვეტილა და, ვინ იცის, როდემდის გასტანს კიდევ! (პ. ვ.).

—

ბალტიის ესკადრა. „ლონდონის ლლოიდს“ აუწყებენ დაკარიდან, რომ ბალტიის ესკადრა პორტ აკრასკენ გაემართა, აფრიკის ოქროს ნაპირადაო. პეტერბურგელი კორესპონდენტი «კენიგსბერგის გაზეთისა» დეპეშით იწერება, რომ იაპონელებს განზრახვა აქვთ ჩაჰხერგონ სუეცის არხის გასავალი. ამ აზრით, ჰფიქრობენ ჩაჰღუპონ არხში ერთ-ერთი კრეისერი რუსებისაო. მეორე კორესპონდენტი იმავე გაზეთისა იუწყება სუეციდან: იმ მოსაზრეით, რათა ბალტიიის ესკადრამ უშიშრად გაიაროს არხი, საჩქაროდ ათავებენ ყოველ გვარ სამზადისს უნდათ ნაწილი არხისა ჯაჭვებით გაჰღობონ და ამ სახით სულ განაცალკევონ არხში გასავლელი რუსთა გემებიო. (რუს).

—

პორტ-არტურის ამბავი. «ნეუე ფრეიე პრესსე» წინასწარმეტყველობს, რომ მალე მოეღება ბოლო პორტ-არტურს, იმიტომ რომ ციხეს შემოელია ტყვია-წამალი და ყუმბარებიო. რუსები უკვე ჩინელების ძველ ყუმბარებსა ჰხმარობენ ვითომ. ციხეს მისდის მხოლოდ სურსათი და არა ტყვია-წამალი და ყუმბარები. მართალია, ციხის დამცველთა გულადობა და ვაჟკაცობა დიდია, მაგრამ მათი წინააღმდეგობა შეიმუსრება იმ დროდან, როცა დადუმდებიან ციხის ზარბაზნები. ეს დრო ახლოვდება და იმედიანი ლაპარაკი «რასტოროპნის» კაპიტანისა ვერ დაჰმალავს იმ სამწუხარო ჭეშმარიტებას რომ ციხის ზოგიერთმა კოშკებმა უკვე შესწყვიტეს სროლა და ჩაჩუმდნენ. თოფის წამალი უკვე შინაურულად მზადდება ციხეში, ხოლო ჯარის კაცებს ულუფა, ნახევარზედ მეტი აღარ ეძლევათ. ციხე, იმავე გაზეთის ლონდონელ კორესპონდენტის სიტყვით, 20 დღეზედ მეტს ვეღარ გასძლებს, რადგან სიმშილი უკვე დაიწყო. (რ. ვ.).

იაპონელები და „რასტოროპნი“. «დეილი-ქრონიკლი»ს კორესპონდენტი იწერება ჩიფუდან, რომ თან და თან მატულობს მღელვარება იმ რუსის მეზღვაურების წინააღმდეგ, რომელნიც ხმელეთზედ გადმოვიდნენ «რასტოროპნის» ზღვაში ჩაძირვის შემდეგ. 4 ნოემბრის ღამეს რუსეთის საკონსულოს ჩინეთის პოლიცია შემოერტყა გარშემო და იცავდა თავ-დასხმისაგან. იაპონიის პატარა ნავები შემოერტყნენ გარშემო იმ ადგილს, საცა „რასტოროპნის“ ანძები სჩანს. იაპონელნი ფოტოგრაფიულს სურათებს იღებენ დაღუპულ გემის იმ ნაწილებისას, რომელიც ჯერ კიდევ სჩანს ზღვაზედ და სიხარულით ჰყვირიან «ბანზაის». ნამდვილ წყაროდან შევიტყეთ, რომ პორტ-არტურიდან სხვა გემები არ გასულან „რასტოროპნი“-სთან ერთადაო. (რ. ვ.).

# ახალი ამბავი

—

აკაკის ავადმყოფობის ბიულეტენი. თავ. აკაკის ავადმყოფობას ჯერ-ჯერობით მხოლოდ ის ცვლილება დაეტყო, რომ მარჯვენა ლოყაზე სიდამბლის ნიშნებმა გაუარა. თვალის მდგომარეობა-კი ისევ ძველებურად დარჩა. ამ მოკლე ხანში ცვლილება ჯერ-ჯერობით მოსალოდნელი არ არის. საერთოდ ავადმყოფის ჯანმრთელობა ისეთ მდგომარეობაშია, რომ მოითხოვს დამშვიდებულ ცხოვრებას და მუდმივს წამლობას.

ექიმები: მიხეილ გედევანიშვილი, ს. ვირსალაძე, ვ. მანსვეტოვი, ვ. მუსხელაშვილი და ვ. ღამბაშიძე.

*** აკაკის ფონდი. წარსულ კვირის განმავლობაში «ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზოგადოების» გამგეობამ მიიღო აკაკის თანხის სასარგებლოდ ბ-ნ იაკობ გოგებაშვილისაგან 100 მან., ვასილ გამრეკელისაგან 100 მან., თამარ ტურიაშვილისაგან 5 მან., იოველ ნატროშვილისაგან 25 მან., ალექსი კიკნაძისაგან 25 მან. და ეკატერინე გაბაშვილისაგან («ივერიის» რედაქციისაგან გადაცემული)—10 მან., სულ 265 მან.

*** გაზ. «ნოვ. ობოზრ.»-ე, რომლის რედაქტორ-გამომცემლადაც დღემდე ძმანი თუმანოვები იყვნენ, დღეიდგან გამოვა ახალის რედაქციითა და პროგრამით, ნაფიცის ვექილის ქალანთარ ი. ქალანთაროვის რედაქტორ-გამომცემლობით. ძმანი თუმანოვები თავიანთ სარედაქციო გამოსათხოვარ წერილში ამბობენ, რომ ლიტერატურასთან არც ამის შემდეგ შეუწყვეტთ კავშირსაო და მხურვალე გრძნობით ეთხოვებიან ამ გაზეთის მკითხველთ. ვუსურვებთ ახალს რედაქციას სრულს წარმატებასა და თანაგრძნობის მოპოვებას მკითხველ საზოგადოებაში. ვუსურვებთ, რომ პრესის დიდმნიშვნელოვანისა და პატიოსანის გზისათვის არ გადაეხვიოს «ნოვ. ობოზრ.»-ს ახალს რედაქტორ-გამომცემელს ბ-ნს ქ. ი ქალანთაროვს.

*** გენერალი ი. დ. მალამა. კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწედ ახლად დანიშნული გენერალი ი. დ. მალამა, როგორც «ცნ. ფურც.»-ს გაუგია, დღეს, 14 ნოემბერს, წამოვა ეკატერინოდარიდგან. გენერალი მალამა პირდაპირ ტფილისს ჩამოვა.

*** ბათუმის ქალაქის მოურავი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი გუშინ, 13 ნოემბერს, ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგიდგან, სადაც სამსახურის საქმეთა გამო იყო წასული. თავ. ანდრონიკაშვილი დღეს, 14 ნოემბერს, მიემგზავრება ბათუმს.

*** სურათების გამოფენა. დღეს, 14 ნოემბერს, სამხედრო საისტორიო მუზეუმის სადგომში («დიდების ტაძარი») გაიმართება მე-XIV პერიოდული გამოფენა კავკასიის სამხატვრო საზოგადოებისა.

*** ქართულის დრამატიულის საზოგადოების გამგეობას განზრახვა აქვს მოიწვიოს ახლო მომავალში საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება და წინადადება მისცეს, რო ძმანი ზუბალაშვილნი საპატიო წევრებად იქმნენ არჩეულნი იმ უხვ შემოწირულების გამო, რომელიც მათ გაიღეს დრამატიულ საზოგადოებისათვის.

*** გრაფინია პ. ს. უვაროვისა, მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების თავმჯდომარე, ამ ჟამად ტფილისში იმყოფება და დარჩება რამდენსამე ხანს.

*** საარქეოლოგიო საზოგადოების კრება. დღეს, 14 ნოემბერს, შუადღის 1-ლ საათზედ, ტფილისის 1-ლ სავაჟო გიმნაზიის სადგომში, მოჰხდება კრება მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების ტფილისის განყოფილებისა, პ. ს. უვაროვის თავმჯდომარეობით.

*** მასწავლებლის არ დამტკიცება. ქუთაისის სასულიერო სემინარიის (აწ გაუქმებულის) რუსულის ენის მასწავლებელი ბ-ნი ყასაბიევი კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ბ-ნმა მ. ზავადსკიმ არ დაამტკიცა რუსულის ენის მასწავლებლად ტფილ. სათავად-აზნაურო სკოლაში.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსი ინჟენერი ი. კ. ივანოვსკი უკვე დაბრუნდა ბათუმიდგან, სადაც, პეტერბურგიდგან ჩამოსვლის შემდეგ, გაემგზავრა სამსახურის საქმეთა გამო, და შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესსია მიემგზავრება სიღნაღში და 16 ნოემბრიდგან შეუდგება სხვა და სხვა საქმის განხილვას. სესსია სიღნაღში დაჰყოფს 26 ნოემბრამდე.

# საქართველო

—

ს. ახმეტა. (თიანეთის მაზრა). ღვინის მოსავალი.—ზნე-დაცემულობა.—სიყვარული ძნელია!

ახმეტელებმა ამ ერთის თვის წინადვე გაათავეს რთველობა. თუმცა ღვინის მოსავალი სხვა წლებზედ შედარებით მეტი იყო, მაგრამ წელს უამინდობის გამო ცოტა მჟავე ღვინოები გამოდგა. ახმეტელები ჩივიან, რაც ვენახებს სტკივარი გაუჩნდა და გოგირდს ვხმარობთ, ყურძენი იწამლება და ამის გამო ღვინოს ჩვეულებრივ ვეღარა ვსვამთ და, თუ დავითვერით, მეორე დღეს თავი გვტკივდებაო.

ახმეტა ზნეობრივად მეტად დაეცა და ფეხ-მძიმობა ძალიან არის გავრცელებული. ამისი მიზეზი ის გახლავთ, რომ ბლომად არიან მებალეებად და მეზვრეებად მოსულნი. ესენი ჰხიბლავენ გათხოვილსა და გასათხოვარ ქალებს, შემდეგ თავს ანებებენ და თავიანთ სოფლებში ბრუნდებიან. რა ჰქნას სახელ-გატეხილმა ქალმა და რძალმა, იციან რომ მათი ოინები ბევრმა იცის და ისევ როსკიპობაზედ სდებენ თავს. აი, მაგალითად: ახმეტელ მცხოვრებს წაარიჲვეს ცოლი, ჰყვანდათ რამდენიმე თვე და შემდეგ გააგდეს. ქალი თიანეთში ამოვიდა და აქ შეიყვარა სხვა, უბრალო სამსახურის კაცი. ეს კაცი იქმნა გაგზავნილი სხვაგან, სადაც მთელი ზამთარი უნდა გაეტარებინა. ნათქვამია, «სიყვარული ძნელია, ძნელი მოსათმენიაო». ქალმაც ვერ მოითმინა უიმისოდ ცხოვრება და ორის კვირის შემდეგ უკან გამოუდგა.

დათიკო გოგიაშვილი.

# ხოლერა

შემდეგი *)

თუ ვინიცობაა ავადმყოფს წყალმაკი (ВОДЯНКА) ჰქონდა, ეკარგება, რადგან წყალს სხეული შეისვამს ხოლმე, როგორც ღრუბელი. მცირდება და ხშირად კიდევაც ისპობა გამოდენა ნაღველისა, შარდისა და სხვ.

სისხლი სქელდება. გული სუსტდება, როგორც საწამლავისაგან, სისხლის გასქელებისაგან, საზოგადოდ მთელის სხეულის შეუწუხებისაგან და უსაზრდოობისაგან. რადგან სისხლს წყალი აკლდება და სისხლი რიგიანად ვერ მოძრაობს სხეულში, სისხლს ვერ გამოაქვს სხეულიდგან მომწამლველი ნივთიერებანი. ამგვარად, სხეულს ხოლერის განსაკუთრებულ საწამლავს გარდა სწამლავენ კიდევ თვით სხეულში შემუშავებული საწამლავები, რომელნიც სად სხეულში სისხლს გამოაქვს და სტოვებენ სხეულს ან შარდთან, ან ფილტვებიდგან ამონასუნთქ ჰაერთან, ან ოფლთან და სხვ.

სულ-თქმა ზერელია ტ უსწორ-მასწორო. ხმა ყრუ და ჩახრენწილი, მერე წვრილი (ფალცეტი), შემდეგ ხმა, თუ შეიძლება ითქვას, უხმოა, ფურჩულის მსგავსი.

სიცხე რომ გამოზომო გარედგან, მაგალითად, იღლიებს ქვეშ, ნაკლებია, ვირე საღ ადამიანსა აქვს, 30-$t^0$ და ნაკლებიც. უკან-ტანიდგან, ე. ი. სწორ წელში, რომ გამოზომო, 40-$t^0$-ს აღემატება.

შარდის ბუშტი ცარიელია, რადგან შარდი სულაც არ მზადდება სისხლიდგან ჰაჰებში, ამისი მიზეზი ის არის, რომ სისხლი რიგიანად ვერ მოძრაობს ჰაჰებში, როგორც საზოგადოდ სხეულის ვერც ერთ ნაწილში. თუ ასეთი უშარდობა ორს დღეზე მეტს ხანს გაუგრძელდა, ავადმყოფი კვდება, თუ არა, როცა ავადმყოფი უკეთესობისაკენ იზამს პირს, შარდი კვლავ გაჩნდება, მაგრამ პირველ ხანს ცოტა, დღეში ჩაის სტაქან-ნახევარი ან ორი სტაქანი, მოშავო, მღვრიე და ძლიერ მჟავე.

ორსულ ქალს ეშლება მუცელი და ებადება მკვდარი ბავშვი.

მშობიარე ქალები ჩვეულებრივ ვერ იტანენ ხოლერას, კვდებიან, თუ ეს სენი შეეყარათ.

ხსენებულ მეორე ხანაში ავადმყოფს ხშირად მოსდის თრთოლა სხეულის ხან ამა თუ იმ ნაწილში, უფრო ხშირად წვივების უკან კუნთებში. თრთოლა გრძელდება ორ წთუს და მეტ ხანსაც, მეორდება ყოველ მეოთხედ-ნახევარ საათში და ძლიერ ტკივილებს აღძრავს. მთელის სხეულის თრთოლა ძვირად ხდება, ჩვეულებრივ სიკვდილის წინ.

ამგვარი მდგომარეობა, რომელსაც ეძახიან «ალგიდ» ხანას, გრძელდება 1—2 დღეს. თუ ავადმყოფმა არ მოიხედა და მისი მდგომარეობა უარესი შეიქმნა, იგი გადავა «ალგიდ» ხანიდან ეგრედ წოდებულ «ასფიქტიურ» ხანაში. ამ ხანაში არა სცხრება არც რწყევა, არც ფაღარათი. საერთო მდგომარეობა ავადმყოფისა უარესი ხდება, მაჯა სრულიად ეკარგება, ავადმყოფი ღრმა გაუგებრობაშია. ამ დროს ტკენასაც კი ვეღარა ჰგრძნობს. ეს ხანა თითქმის ყოველთვის რამდენისამე საათის განმავლობაში თავდება სიკვდილით.

«ალგიდი» ხანა თუ «ასფიქტიურ» ხანაში არ გადავიდა, თუ ავადმყოფმა გადაიტანა «ალგიდი» ხანა და პირი გამობრუნებისაკენ ქმნა, უცბად შეიქმნება ხოლმე უკეთ. ამ დროს რწყევა და ფაღარათი კლებულობს, შარდი ჩნდება, შინაგანი სიცხე მცირდება, ხმა უბრუნდება. ამ ხანას ეძახიან «რეაქტივ» ხანას.

თუმცა ავადმყოფი ამ ხანაში მორჩენის გზას ადგია, მაგრამ შიში კიდევ არის. ზოგიერთი ავადმყოფი «ალგიდ» ხანისაგან ისე დასუსტდება და დაუძლურდება ხოლმე, რომ სრულიად ჰკარგავს სიცოცხლის ნიჭსა და კვდება დაუძლურებისა-

*) იხ. «ივერია», № 260.

# ფელეტონი

—

ქართველთა შორის:

ცეცხლი ჯერ კიდევ ჰღვის.—კურთხეული მაჯა.—ესარი ნამდვილის საქმიანობისა.—მამა-მაპათა ანდერძი.

მართალია, ძარღვი ჩვენის საზოგადო ცხოვრებისა ერთობ მოდუნებულია და სუსტათა სცემს, მაგრამ ჯერ არც ისე გავნადგურებულვართ, როგორც ჩვენს მტერ მოყვრებს ენატრებათ. ნაცრად დაფერფლილ ნაკვერჩხალში ჯერ კიდევა ჰღვის ცეცხლი სამშობლოს სიყვარულისა. კეთილშობილ გრძნობას ადამიანის ღირსების დაცვისას, პიროვნულის და საზოგადოებრივის პატიოსნების შენახვას, ადამიანურის უფლების გაფრთხილებას ჯერ კიდევაა აქვს ადგილი ერთხელ აღყვავებულსა და ეხლა დაჩაგრულს ჩვენს გულში, და სწორედ მიზეზიც ეს არის, რომ ქართველთა შორის კიდევ მოიპოვებიან სასიქადულო კაცნი, რომელთაც გადაუდვიათ მთელი თავიანთი სიცოცხლე სამშობლოს სამსახურისთვის, აღარ ახსოვთ საკუთარი თავი და სულდგმულობენ მხოლოდ საქვეყნო მოქმედებით, საზოგადო მოღვაწეობით. ნუ გამოვუდგებით იმის გამოძიებას, თუ საიდამ შეჰრჩა ჩვენს დანიავებულ ცხოვრებას ასეთი მადლი, რომ კიდევ გვაძლევს საქვეყნო მოღვაწეებს; ან ჩვენ თვითონ რამ შეგვარჩინა ზნეობრივი შემეცნება, რომელიც აფასებს ამისთანა კაცებს, გვაყვარებს და გვიღვიძებს გრძნობას პატივისცემისა და მიდლობისას მათ მიმართ. ამ ხანად ვიკმაროთ ისა, რომ ამისთანა მადლიან კაცებს ჯერ კიდევ იძლევა ჩვენი ცხოვრება, და ჩვენც იქამდე არ დავძაბუნებულვართ, რომ განუსაზღვრელის თანაგრძნობით მაინც არ დავაჯილდოვოთ ჩვენნი მოღვაწენი. ასპარეზი საზოგადო სამსახურისა ძრიელ ვიწროა ჩვენში, მაგრამ თითო-ოროლა თავდადებული მუშაკი შეგვხვდებათ თითქმის ყველგან: სამწერლო მოედანს აიღებთ თუ სამოსწავლოს, სამხედროსა თუ სამოქალაქოს, სამრეწველოსა თუ დღიურ სამუშაოს. ამათ უჭირავთ ხელში ანთებული ლამპარი და ჩვენც ნუგეშით შევყურებთ ამ ლამპარს, რომელიც ცოტათი მაინც გვინათებს ბნელით მოცულს გზას ჩვენის ბნელის ცხოვრებისას. მათი სიტყვა მკვიდრ ბინას იკეთებს ჩვენს გულში, მათი მოქმედება სატრფიალო მაგალითია ჩვენთვის, იგინი შეადგენენ საგანს ჩვენის ამაყობისას, ჩვენის თვითცნობიერებისას. როდესაც ჩვენი ვითარება ამისთანა კაცებს იძლევა, არავის ნება არა აქვს დაეჩაგვრინოს სასოწარკვეთილებას, ყველას შეუძლიან ნიშნის მოსაგებლად უკიჟინოს თავის მტერს—

ვინა სთქვა საქართველოზე:
«ეს არის ლხინი, ჰკვდებაო»?

***

ეს სიტყვები მათქმევინა ბ-ნ გომართელის შენიშვნამ, გაზ. „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილმა, შესახებ პატივცემულ ნ. ზ. ცხვედაძისა, რომელსაც ვითომ სტიპენდია აეცდინოს მოსწავლე გელაძისათვის, რადგან უკანასკნელი გურიიდან ყოფილა და არა ქართლიდგან. უნდა მართალი მოგახსენოთ, ამ შენიშვნის წაკითხვამ გული მატკინა, და მატკინა იმიტომ კი არა, რომ დავიჯერე. ამის დაჯერება იგივე იქმნებოდა, რომ დამეჯერებინა, მაგალითად, მზის აღმოსვლა დასავლეთიდან. არა, მე იმან დამწყვიტა გული, რომ ჩვენში კიდევა ყოფილა ინტელიგენტი, რომელსაც არა სცოდნია, თუ ვინ არის ჩვენის საზოგადოებისათვის ბ-ნი ცხვედაძე, რა თვისების კაცია, რა განზრახვებითაა გამსჭვალული და რა გარდუქმნია ტაძრათ თავისის ლოცვისა და სამსახურისა.

როგორც ზევითა ვთქვით, ჯერ კიდევა გვყავან საზოგადო მოღვაწენი, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, არც ისე დიდია მათი რიცხვი, რომ ძნელი იყოს სათითაოთ გაცნობა ყველასი, და ჩვენმა ინტელიგენტმა, რომელმაც სხვა ქვეყნების მრავალი საისტორიო გვამის სახელი და შრომა შეისწავლა, როგორ დაიზარა და არ გაეცნო სულ რაღაც ათიოდე მოღვაწეს ჩვენის ქვეყნისას. ნუ თუ დასავიწყარია ის შრომა, რომელიც თავს იდო ბ-ნმა ცხვედაძემ ოთხმოციან წლებში სკოლის დასაარსებლად გამაჰმადიანებულ ქართველებისათვის ბათუმში? მარტო ესეც რომ სცოდნოდა ბ-ნ გომართელს, საკმარისი იყო, რომ ისეთის სათაკილო წერილის ავტორობა არ ეკისრნა.

დამეთანხმებით, რომ წინ-დაუხედავი ცილისწამება ისე ვერ მიუდგება ზნეობრივს პიროვნებას ცნობილ პატრიოტისას, როგორც კედელს ცერცვი, და ვინ არის დღეს ჩვენში ან ბანის მცოდნე, რომ არ შეჰხაროდეს ამ მოღვაწის ცოცხალ ძეგლს, რომელიცა შენდება ჩვენს დედაქალაქში და რომელიც შეიქმნება ტაძრათ ჩვენის შვილების განათლებისა! ყველას ესმის სიდიადე ამ საქმისა, რომელიც საკმარისია დაუმკვიდროს სატრფიალო სახელი საზოგადო მოღვაწისა ათს კაცსაც კი; ხოლო როდესაც ეს საგანი აღძრა, იკისრა და საცაა უნდა დაამთავროს ერთმა კაცმა, მაშინ ამისთანა მუშა-კი სდგას უკვდავების გზაზედ, და არც ერთი ჩვენგანი არ მისცემს ნებას ვაგლახად შეეხოს ვინმე მის მამულიშვილობას და მის ზნეობრივს სიფაქიზეს: ყველანი სასოებით წარმოსთქვამენ ამ მოღვაწის შესახებ ვაჟა-ფშაველის მარგალიტის სიტყვებს:

ნუ დაჰღლი, წმინდავ გიორგი,
მაგის კურთხეულ მაჯასა!

***

ოღონდაც რომ კურთხეულია იმისი მაჯა და ოღონდაც, რომ უნდა შევთხოვოთ ზეცას მისი დაუღალაობა!

ჩვენ სიცილად არ გვეყო, როდესაც ამ რამდენისამე წლის წინ პირველად შევიტყეთ ბ-ნ ცხვედაძის განზრახვა შესახებ საკუთარის შენობის აგებისა ქართულ სკოლისათვის, სადაც ათასამდე ყმაწვილს უნდა მიეღო სწავლა-განათლება. მით უფრო გულიანი იყო ეს სიცილი, რომ სკოლა უნდა აშენებულიყო ტფილისში და ამისთვის ესაჭიროებოდათ ათი-თორმეტი დღიური მიწა. ერთის სიტყვით, გამოდიოდა მილიონიანი საქველმოქმედო საქმე.

—ბატონო ნიკოლოოზ, კარგია ზეცაში ფრენა, მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენ მიწაზედა ვართ დაბმულნი და ყოველი ჩვენი დაწყებულობა განსაზღვრულია იმ მიწიერ ძალით, რომელიც აგვიღია ნამდვილ ცხოვრებისაგან. აბა, რა წარმოსადგენია, რომ თქვენ მოჰკრიბოთ საჭირო შეძლება და განახორციელოთ თქვენი ოცნება. ჯერ მიწის შოვნასაც ვერ მოახერხებთ და ახლა ათი იმდენი ხომ შენობისთვის დაგჭირდებათ.—ტკბილი ოცნებაა, მაგრამ, თუ ღმერთი გწამთ, ჩვენს შორის დარჩეს, სხვებთან ნუ გაამხელთ, რომ თქვენისთანა საქმიანი კაცი ფანტაზიორად არ მოჰნათლოს საზოგადოებამ. ჯიბე-გაფხეკილ და გულ-გამოფიტულ ქართველებში როგორ უნდა მოაგროვოთ მაგოდენა ფული?!. აბა, რა ჭკვაში მოსასვლელია მაგეთი ფიქრი!..

აი სიტყვები, რომლითაც აფრთხილებდა ბ-ნ ცხვედაძეს ყოველი მისი ერთგული და პატივის-მცემელი ნაცნობი.

— თქვენ მაგრე ილაპარაკეთო,—ამბობდა ეს „ფანტაზიორი“,—მხოლოდ ერთმანეთში კი ილაპარაკეთ, ქუჩას ნუ გააგონებთ თქვენს ეჭვსა, რომ არ დამიშალოთ,—და მე ვიციო.

მეტს არას ამბობდა. ცოტა ხანს უკან

გან «ალგიდ» ხანის შემდეგ რამდენისამე დღის განმავლობაში.

რეაქტივ ხანაში ავადმყოფს ხშირად უჩნდება წყლულები წელებში, უკეთ რომ ვთქვათ, წელების დიფტერიტი. ავადმყოფს ამ შემთხვევაში სიცხე ეძლევა, მუცლის ტკივილი უტყდება, მოსდის ჰინთვა, განავალში სისხლს ატანს და სხ.

ამ ხანშივე შეიძლება გამოჰყაროს ტანზე, კანი აქა-იქ დაუჩირქდეს, დაუბალღმდეს, ფილტვების ანთება დაემართოს და სხვ.

ბევრი ავადმყოფი ალგიდის ხანის შემდეგ ჩავარდება ეგრედ წოდებულ სახადისებ-ერ მდგომარეობაში, ანუ, როგორც მეცნიერები ამბობენ, უჩნდება ხოლერის ტიფოიდი. ხოლერის საწამლავი, თუმცა წელებზე და კუჭზე აღარ მოქმედობს, მაგრამ კიდევ რჩება სხეულში, სწამლავს მთელს სხეულს. მის მაგივრად, რომ სიცხე ჩვეულებრივზე ნაკლები ჰქონდეს, ავადმყოფს სიცხეს აძლევს. ავადმყოფი თითქო ბურუსშია, თავი სტკივა, ხშირად ჰბოდავს, რაღაც ეჩვენება. ცნობა მიხდილი აქვს, თვალები ნახევრად გახელილი, თვალის უპეები შიგნიდგან გაწითლებული, ენა და ტუჩები გამშრალი, დახეთქილი, შავის ხაოთი დაფარული. მაჯა და სუნთქა აჩქარებული აქვს. ხან-და-ხან რწყევა, სლოკინი და თრთოლაც მოსდის. ხოლერის ტიფოიდი ემართება ავადმყოფთა ერთს მეოთხედს.

ტიფოიდს ხშირად ზედ ერთვის ჰაჰების ანთება. შარდი ცოტაა, არ მატულობს და არ კეთდება. ჰაჰების ანთებას კი ხშირად თან ახლავს რწყევა, თრთოლა მთელის სხეულისა, ცნობის დაკარგვა და სხ.

ხოლერის ტიფოიდს ავადმყოფი ხან-და-ხან რამდენსამე დღეს იხდის, ხან-და ხან კი ამ მდგომარეობას კიდევ ზედ ერთვის სხვა-და-სხვა ავადმყოფობა. უკანასკნელ შემთხვევაში ავადმყოფობა დიდხანს გრძელდება.

თუ «ალგიდ» ხანის შემდეგ ავადმყოფს სხვა არაფერი გაუჩნდა, იგი ერთ-ორ კვირაში რჩება.

თუ ტიფოიდს სხვა არა დაემატა-რა, ეს ხანა ოთხიდან რვა დღემდის გრძელდება, თუ კიდევ ზედ რამე დაერთო,—ორის კვირიდან სამ კვირამდის.

ვინც ხოლერის მთავარ «ალგიდს» ხანას გადაურჩება, ის შეიძლება მოკვდეს ტიფოიდის ხანაში ან სხვა ხსენებულ სნეულობისაგან, რომელიც იჩენს თავს «ალგიდის» ხანის შემდეგ. ამიტომ პროცენტი სიკვდილისა ძლიერ დიდია. ყოველ ას ავადმყოფში ორმოციდან ორმოცდაათამდის ჰკვდება.

ჩვენ აქ აღვწერეთ მძიმე შემთხვევა. მაგრამ ხოლერა ბევრს ძლიერ მსუბუქად ეკიდება. ხან ავადმყოფს ემართება მცირე ფაღარათი, რომლისაგანაც რჩება ერთის დღის განმავლობაში. ხან, თუმცა ავადმყოფს უჩნდება ძლიერი ფაღარათი, რწყევა, თრთოლა, რის გამოც ღონე ეკარგება და მაჯა უსუსტდება, მაგრამ სხვა სამძიმო არა უჩნდება-რა, საკუთრად ჰაჰები არ უშავდება და რამდენსამე დღეში რჩება.

ამ გვარ ხოლერას უძახიან ხოლერინას.

ამას გარდა, პრაქტიკულად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ხშირად სრულიად საღის ადამიანის განავალში იმყოფება მრავალი ბაცილლა ხოლერისა. ამგვარ ადამიანს ხოლერის ბაცილლა ვერაფერს აკლებს ამა თუ იმ მიზეზის გამო, მაგრამ იმავე ბაცილლას შეუძლიან ხოლერა შეჰყაროს სხვას.

არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც ხოლერა რამდენისამე საათის განმავლობაში ჰკლავს კაცს, ასე რომ, აღარც კი დასცალდება ხოლმე სარწყევადა და საფაღარათოდ. ასეთს ხოლერას ეძახიან ელვის-მსგავს ხოლერას. ეს ხოლერა უჩნდება განსაკუთრებით პატარა ბავშვებს.

ექიმი ვასილ წერეთელი.

(შემდეგი იქნება).

# უცხოეთი

## საფრანგეთი.

ანდრეს წერილი.—ანდრეს ნალაპარაკევი.—კლემანსოს თქმული.—გაზ. „მატენის“ აზრი.

მოხუცებულ სამხედრო მინისტრის გალახვამ პარიჟში ძლიერ შეაძრწუნა საფრანგეთი. ერთხანად ეგონათ, რომ ეგ საზიზღარი ძალ-მომრეობა, ეგ შეუწყნარებელი საქციელი ბერი-კაცის მიმართ, სხვა-ფრივ დაატრიალებს საქმეს, კაბინეტს თანაგძნობას მოუპოვებს და სამინისტროც გადარჩება უვნებლად. და ანდრეც დარჩება ისევ მინისტრადაო. სამინისტრო კომბისა კი გადარჩა განსაცდელს, მაგრამ ანდრეს კი ვეღარამ უშველა.

გაზეთებში დაბეჭდილია წერილი ანდრესი კომბთან მიწერილი. წერილში ნათქვამია, სხვათა შორის, რომ რესპუბლიკის მტრებმა გადასწყვიტეს ძლიერი იერიში მიეტანათ იმ მთავრობაზედ, რომელიც ასეთის მხნეობითა და მოხერხებით ებრძოდა. ეტყობა, მეც წილი მდებია მაგ ბრძოლაში, რომ მეც ამომიღეს მიზანში... მე იმოდენად თავ-მომწონე ვარ, იმოდენად მაქვს სიყვარული სამშობლოსი და რესპუბლიკისა, რომ ფიქრადაც არ გავივლებ აზრს შევიქმნე მიზეზი უმეტესობის დარღვევისა და უთანხმოებისა რესპუბლიკელთა შორის. ამ უმრავლესობის თანხმობითა და ერთიანობით გადაარჩინეთ ვალდეკ-რუსომა და თქვენ რესპუბლიკა განსაცდელსა. ახლა, როცა თავს ვანებებ კაბინეტს, ნება მიბოძეთ მადლობა გადაუხადო ყველა იმ ჩემს მეგობარს, ვინც მხურვალე თანაგრძნობა გამომიცხადა საფრანგეთის ყოველ კუთხიდან. დეე, იცოდნენ იმ ჩემმა მეგობრებმა და თანამგრძნობლებმა, რომ მივდივარ, მაგრამ თან მიმდევს შეურყეველი ერთგულება საფრანგეთისა, მხედრობისა და რესპუბლიკის მიმართ. ეგ სამივე გაერთიანებული სარწმენია და სალოცავია ჩემი».

ესევე უთქვამს ანდრეს «ჟილ-ბლაზის» თანამშრომლისათვის. ვანებებ თავს კაბინეტს, იმიტომ, რომ არ მინდა ჩემის მიზეზით დაირღვეს ერთიანობა და უმეტესობა რესპუბლიკის მომხრეთა პარლმენტში. მხოლოდ ამ უმრავლესობას შევსწირე მსხვერპლად ჩემი წყურვილი სამსახურისა და სიყვარული ბრძოლისაო.

«პტი რეპუბლიკ»-ის თანამშრომლისათვის უთქვამს, მიხარიან, რომ ჩემს შემდეგ სამხედრო მინისტრად ბერტო იქნებაო.

კლემონსო ამბობს «ავრორ»-ში: გენერალმა ანდრემ გადასცა კომბს ქაღალდი სამსახურიდან გადადგომისა. უკეთესია ვსთქვათ, რომ კომბმა მოსთხოვა ეგ ქაღალდი და იმანაც წარუდგინა. ანდრეს მაგიერ ახლა ბერტო იქნება. ძალიან დიდი გაბედვა-კია ეს ბერტოსაგან!

«მატენ»-ი სწერს: ეჭვი არ იყო, რომ ვეღარ შეინარჩუნებდა თავის ადგილს ის კაცი, რომელსაც დაედო ბრალი სამარცხვინო ჯაშუშობისა და მაბეზღრობის გავრცელებისა ჯარსა და მხედრობაში. ჯაშუშობისა და მაბეზღრობის შემოღება, რა აზრითაცა და რომელ დასის სასარგებლოდაც უნდა მომხდარიყო,—ჭირივითა სძულს ჩვენს ქვეყანას. ყოველივე, რაცკი მოგვაგონებს ამ სამარცხვინო საქმეს, კვალწმინდად უნდა გაჰქრეს რესპუბლიკის ადმინისტრაციაში.

„რესპუბლიკამ არას დროს არ უნდა მიჰმართოს ძველ რეჟიმების წესებსა. იმისთანა დემოკრატულს ქვეყანაში, როგორიც საფრანგეთია, ყოველივე ცხადად უნდა სწარმოებდეს, დაუფარავად; საიდუმლოდ არა უნდა რჩებოდეს რა. გენერალი ანდრე იმიტომ დაეცა, რომ არ უნდოდა შეეგნო ეს ჭეშმარიტება. იმედი გვაქვს, მისი მოადგილე მაინც შეიგნებს ამ ჭეშმარიტებასა“!

## ბიბლიოგრაფია

### გ. ნ. სუნდუკიანცის «ხათაბალა» სომხურ ენაზედ.

სომეხი მხცოვანის დრამატურგის გაბრიელ სუნდუკიანცისაგან ჩვენს რედაქციას მოუვიდა «ხათაბალა», ოთხ-მოქმედებიანი და ექვს სურათიანი კომედია, მეორედ შესწორებით გამოცემული ავტორის მიერ, სახსოვრად არტისტის მირდათ ამერიკიანისა, რომელიც 1866 წლის აპრილის 7 პირველ წარმოდგენაში გამოვიდა გარასიმ იაკულიჩ ზამბახოვის — ქალაქელ მდიდარ ვაჭრის როლში. მაშინ პიესა შეიცავდა მარტო ორ მოქმედებას. მეორედ წარმოდგენილ იქმნა 1867 წ. ივნისის 12-ს სამ მოქმედებად და მესამედ 1879 წ. ნოემბრის 22-ს ოთხ მოქმედებად. ხათაბალა, ისე როგორც სხვა პიესები ნიჭიერის ავტორისა, დაწერილია ქალაქურის ჟარგონით, რომელსაც მრავალი სიტყვის საქცევი, კომპლიმენტი და სიტყვა ქართული აქვს. ავტორის თითქმის საუკეთესო პიესები ყველაშ ქართულად ნათარგმნი და კარგი იქმნებოდა, ქართულს დრამატიულ საზოგადოების გამგეობას მიეყო ხელი და გამოეცა ერთ დიდ წიგნად. იმედი გვაქვს, ბატონმა გაბრიელმა, როგორც ქართულის ჩინებულად მცოდნემ, რედაქტორობაც იკისროს თავის თხზულებათა ქართულად გამოცემისა. იგია სახელი და დიდება ქართულის სცენისაც.

## წერილი

### რედაქციის მიმართ

პატივცემულო ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს პატიოსანს „ივერიის“ გაზეთში შემდეგს: ფრიად პატივცემულთ ძმათ ლევან, პეტრე და იაკობ კონსტანტინეს ძეთ ზუბალაშვილებმან, სხვა მრავალ ქველ მოქმედებათა შორის, წმ. ივ. ნათლის მცემლის ეკკლესიის ქართველ კათოლიკეთა საერო სასწავლებელსაც უწყალობეს 300 მანეთი ფული თავიანთ ძვირფასის ძმის სტეფანეს სულის მოსახსენებლათ. შეეწიროსთ ღმერთმან, რომლისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ.

მარად მლოცველი ღირსი მონა

მესხი ივ. მღ. გვარამაძე.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

დილის დეპეშები.

12 ნოემბერი.

**ჩიფუ** (რეიტერი). პორტ-არტურიდან არა-ოფიციალურის ცნობების გამოცხადება აკრძალული აღარ არის. საზოგადოდ ალყის საქმე სისწრაფით მიდის წინ, თუმცა ხანდისხან ჯარის გამოსვლა კი აბრკოლებს. 2 ნოემბერს მეციხოვნენი გამოვიდნენ, მაგრამ უკუ აქციეს და დასტოვეს 26 მოკლული კაცი. 1-ლ ნოემბერს იაპონიის ბატარეიამ ახალი პოზიცია დაიჭირა, საიდანაც შესაძლებელია უფრო კარგად ესროლონ ნავთსადგურსა და ქალაქსა.—გავლენიანი გაზეთი, რომელიც დაუყოვნებელის იერიშის მომხრე იყო, ეხლა ჰკიცხავს აჩქარებას, რადგანაც ციხეს ისედაც მალე მოეღება ბოლოო. გამოქვეყნებულია სია 6—11 ნოემბრამდე მიტანილ იერიშების დროს მომხდარ ზარალისა. ზარალი 14,400 კაცს უდრის, ამათში 550 აფიცერია, რომელთაგანაც 200 მომკვდარა. უმთავრესი პოზიციები იერიშით ვერ დაიპყრეს, მაგრამ ორი ფორტი პანლუნშანზე მაინც აიღეს. ეს გარემოება საქმეს აჩქარებს და ბოლოს მოუღებს, რადგანაც შეძლება მიეცათ იაპონელებს, რომ თხრილებში ნაღმები გაიყვანონ უკანასკნელის ფორტების წინააღმდეგ. ამიტომ იაპონელები დიდმა ზარალმა არ შეაწუხა.

**მუკდენი.** (რეიტერი). სურსათ-სანოვაგე და ტანსაცმელი ადგილობრივ წყაროებიდან მოსდით ჯარებს; ამიტომ რკინის გზა თავისუფალია ჯარებისა და სამხედრო მასალის გადმოსაზიდად.

**მოსკოვი.** ომიდან მოსულმა ბუზულუკის პოლკის შტაბს-კაპიტანმა კუშევმა ლაპარაკის დროს დაიცვა საყვედურისაგან მე-54 დივიზია. კუშევი ამბობს, 30 ათას რუსის წინააღმდეგ 70 ათასი იაპონიელი იყო და ზურგს უკან კიდევ მძლავრი არტილერია ახლდაო; რაღაც ნახევარ საათში 32 აფიცრიდან ბუზულუკის პოლკში 25 აფიცერი და ნახევარზედ მეტი ჯარის-კაცნი დაზარალესო. გაჩერება და ციმბირის პირველ კორპუსისა თვის მოცდა აღარ შეიძლებოდა. ჩვენების დაჭრილ-დახოცილთაგან ზედახორა დააყენეს. ბევრი გმირულად მოკვდა. მე-8 როტის კაპიტანი შჩერბა თავის როტით იაპონელთა ჯარის შუაგულს გადაერია და ხიშტებზედ ააგეს, მაგრამ როტამ მის გვამი მაინც გამოიტანა.

**მუკდენი.** (საკ. კორესპ.) რუსეთ-ჩინეთის ბანკის განყოფილების ხლებ-მიცემობა ძალიან გაძლიერდა უმთავრესს სადგომში.—რაკი ბალტიის ესკადრის მოსვლას მოელიან იაპონელები იძულებულნი გახდნენ, როგორც ეტყობათ, მუკდენის აღებას თავი დაანებონ და მთელი ყურადღება მიაქციონ სამხრეთსა და პორტ-არტურის ჩქარა აღებასა.—სინძინტინთან ტყვედ წაიყვანეს ესაული ვანდალოვსკი. იქიდან იაპონელებმა დაიწყეს ტაიძიხეს მარჯვენა ნაპირისაკენ.—10 ნოემბერს ღამე ჩვენმა მზვერავებმა ჩანლიპუს ახლოს ორი სოფელი აიღეს, რომლის დროსაც მოგვიკლეს ერთი მსროლელი და ერთი აფიცერი, სულ 18 მსროლელი დაგვიჭრეს.

**სუეცი.** (რეიტერი). ინგლისის კრეისერები «ჰერმიანე», «ფოქსი» და იახტა «ემერალდი» ამ ჟამად სუეცის რეიდში არიან. «ფრიონტოზე» საფრანგეთის ბაირაღია ამართული. რუსის ნაღმოსნები იზმაილიას უახლოვდებიან. მთელი ესკადრა გაჩერდება, ბრძანებისამებრ, მწარე ტბებთან. ახალის ინსტრუქციის ძალით, რუსის კონტრ-ნაღმოსნები მოდიან შეუჩერებლივ სუეცს, სადაც ორ საათზედ მოვლენ და ხვალამდე დარჩებიან სხვა გემების მოლოდინში.

**მუკდენი**, 11 ნოემბერი. (საკ. კორესპ.). ხმაა, რომ უკანასკნელი იერიშები იაპონელთა პორტ-არტურზე უკუ აქციესო. ქვიანი ნიადაგი ხელს უშლის იაპონელებს თხრილებში ნაღმების გაყვანას.

**მუკდენი.** (საკ. კორესპ.). ჩვენი ბატარეები ხელს უშლის იაპონელებს თხრილების ამოღებას დასავლეთ მხარე-

---

ხმა გავარდა, რომ ბ-ნ ცხვედაძეს უკვე შეუძენია ქალაქში იმდენა მიწა, რომ არა თუ ვაჟების სკოლას ეყოფა, ქალებისასაც თავსა სდისო. მაგრამ ჩვენი ურწმუნო თომაობა მაინც არა სცხრებოდა. საქმე აშენება გახლავთ—გავიძახოდით.

გავიდა კიდევ ხანი და ბ-მა ცხვეთაძემ მიიწვია საზოგადოება საძირკვლის ჩასაყრელად. გვიკვირდა გაბედულობა და აშკარად ვაცხადებდით ეჭვსა, რომ მთელი საქმე ამ საძირკველზედ გაჩერდებოდა, რადგან მეტი წყარო არსად სჩანდა, თვით ბელადსაც არ ეგულებოდა, მაგრამ რწმენა კი გამომეტყველებდა მის შეუპოვარს წინ-სვლაში. მერე ხომ დღე-დღეზედ იზრდებოდა შენობა და ეხლა იგი ყელ-მოღერებული სდგას და ელოდება დაგვირგვინებას.

ვინ მოიფიქრებდა, რომ ჩვენს ღატაკს ხალხში წვრილ-წვრილის შემოწირულობით შესდგებოდა ასეთი უშველებელი თანხა და რომ ამ თანხით გაკეთდებოდა ასეთი საშვილის-შვილო საქმე? ჩვენთვის ეს წარმოუდგენელი იყო და ჩვენს შორის სწამდა ეგ მხოლოდ ბ-ნ ცხვედაძეს. აგერ მისი რწმენა, საბედნიეროდ, დაგვირგვინდა. იმან დაგვანახვა ყველას, რომ თუ მოღვაწე გამოიჩენს მიუსყიდველ პატიოსნებას, საქმის სიყვარულს, მედგარ ხასიათს, თუ იგი მთლიანად დასდებს თავის მუყაითობას და არ შეუშინდება დაბრკოლებას, შეუძლებელია, რომ ჩვენს საზოგადოებაში არ მოიპოვოს თანაგრძნობა იქაც კი, სადაც ამ თანაგრძნობისათვის არავითარი ნიადაგი არ ეგულება ჩვეულებრივს კაცსა. ბ-მა ცხვედაძემ იპოვნა საზოგადოებრივი სიმები იმისთანა გულშიაც კი, სადაც ჩვენ ვხედავდით მხოლოდ პირადის ინტერესების გაღმერთებას და რომელზედაც დიდი ხანია ხელი ავიღეთ; იმან კი ხელოვნურად ააჟღერა ეს სიმები და მათი ტკბილი ხმა ნეტარებად გაისმა მთელს ჩვენს საზოგადოებაში.

ეს ისეთი მაგალითია, რომელმაც იმედით უნდა აავსოს ყოველ მუშაკის გული, რომ სიწრფელე მისის მოღვაწეობისა არ დარჩება ჩვენში ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა, მოიპოვებს საზოგადოების თანაგრძნობას, და საცა ეს თანაგრნობაა, იქ ხომ ადვილად გაარღვევთ გულ-გრილობის კედელს და მიუახლოვდებით თქვენს საქვეყნო მისწრაფებას.

ყოველივე ზემონათქვამი მოვიყვანე იმიტომ კი არა, რომ ბ-ნი ცხვედაძე მექო. იმას არ ესაჭიროება არავის ქება და ვერც არავის ძაგება მოაკლებს რასმე იმ ღირსებას, რომელსაც საშვილიშვილოდ გადასცემს ჩვენს ისტორიას მისი ნამოქმედარი. მე მხოლოდ მინდოდა მეკითხნა ბ-ნ გომართელისთვის: განა შესაძლებელია იფიქროს ვინმემ, რომ ამისთანა თავდადებულ კაცში ბუდე გაიკეთოს დაქუცმაცებულ კაცუნების სამარცხვინო შენ-ჩემობამ და ვიწროთ შემოფარგლულმა პატრიოტობამ, რომელსაც თავის სოფელს იქით არა სწამს სამშობლო? «გელაძე გურულია და ჩაჰბარდეს თავის პატრონს, მე მაგას სტიპენდიანტობას არ ვაღირსებ, მომგვარეთ ქართლელი ახალგაზდაო». აბა, რა ჭკუაში მოსასვლელია მივაწეროთ ამისთანა უსუსური და უგუნური განზრახვა საქვეყო მოედანზე სახელის შემძენ ადამიანს?! ასეთ დაუჯერებელ ამბავზედ ყველა ჩვენგანი მოვალეა უთხრას თავის თავს:

გასწყვერ, დასწყერ და დახიე
მტყუანთ ტყუილის გუდები.

როგორც მოგახსენეთ, ასეთი შენ-ჩემობა და სამაზრო პატრიოტობა სათაკილოა არა თუ ცხვედაძისთანა მოღვაწისათვის, არამედ არ ეპატიება უბრალო ანბანის მცოდნე ქართველსაც კი. თუ როდისმე უჩენია თავი ამ გვარ უსუსურობას ჩვენში, ეგა ყოფილა მაშინ, როდესაც ჩვენს ხალხს დაჰკარგვია ცნობიერების დავთარი, აჰრევია გზა და კვალი, მოსპობია შეგნება ერთობისა, დამხობილა პოლიტიკურად, აღარ შეჰრჩენია ზოგადი აზრი მამულიშვილობისა; როდესაც, აკაკის თქმისა არ იყოს,

ამერი და იმერეთი
აირია, აიშალა...
და ორივეს ჩამოკლდა
სიმტკიცე და ძველი ძალა.

* * *

უკეთესნი წარმომადგენელნი ჩვენის მრავალ-ტანჯულის წარსულისა ყოველთვის ყოფილან მედგარნი მებრძოლნი ასეთის სამაზრო პატრიოტობისა და მთელი თავიანთი ძალ-ღონე უხმარებიათ დაკარგულ ერთობის კვლავ აღსადგენად. ისტორია გვმოწმობს,—და ასეც უნდა ყოფილიყო, რომ რამდენიც მკვიდრდებოდა ეს ერთობა, იმდენი დიდს ძლიერებას იძენდა ჩვენი სამშობლო, იმდენი წინ იწევდა განვითარებაში, იმდენი უახლოვდებოდა პოლიტიკურს და საზოგადოებრივს აღყვავებას და განვითარებას. ამ აყვავების დროს ჩვენი ისტორიული მოღვაწენი ერთნაირის მამა-შვილურის გრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი არა თუ ყოველის ქართველის მიმართ, იმერელი იქმნებოდა იგი, მეგრელი, ლაზი, კახელი, გურული, სვანი თუ ქართველი,—არამედ ყოველ ერის მიმართ, რომელიც-კი მოსახლეობდა მთელს კავკასიაში. მაშინ საქართველო მიაჩნდა სამშობლოთ არა მარტო ქართველის ერის ყოველ თესლს, არამედ ოსს, ურიას, სომეხს, ლეკს, თათარსა და სპარსელს, რომელნიც კი ესახლნენ კავკასიის სამზღვრებში. საქართველო იყო მფარველი ყველა მათი. ჩვენი ნეტარ-ხსენებული მეფე დავით აღმაშენებელი, აღტაცებული მორწმუნე ქრისტესი, პატივისცემით დაიარებოდა სპარსელების მეჩითში. აბა, სწორედ აქ უნდა ეძებოთ იმის მიზეზი, რომ დღემდე ჩვენი ხალხი შორისა სდგას რომელისამე ხალხის სიძულვილზედ და არ უყურებს დამამცირებელის აუტანლობით არც ერთს სარწმუნოებას. მხოლოდ წარსულ საუკუნეში აქა-იქ იჩინა თავი სამარცხვინო მძულვარებამ ურიათა მიმართ, მაგრამ ეგ სიმძულვარეც უთუოდ მონაბერი იყო შორეულის ქარისა და არა ჰქონდა ადგილობრივი საფუძველი, თორემ ასე ჩქარა არ ჩაჰქრებოდა და არ დაუთმობდა ადგილს იმ კეთილ ურთიერთობას, რომელსაც დღეს ვხედავთ ქუთაისისა, ცხინვალის და სურამის ქართველთა და ურიათა შორის. აგრედვე დროებითი იყო სიმძულვარე, რომელიც უფრო ადრე ჩამოვარდა ჩვენსა და ლეკებს შორის და ბოლოდროინდელი უთანხმოება ჩვენსა და სომხებს შორის.

სამაზრო პატრიოტიზმი იყო შედეგი ჩვენის დაქუცმაცებისა და მიზეზი განადგურებისა. ჩვენს ძლიერებას ყოველთვის წარმოადგენდა მკვიდრი ერთობა, რომელიც თავის მხრივ გარდიქმნებოდა ხოლმე ბერკეტათ ჩვენის აღორძინებისა. ჩვენი ისტორიული ტრადიცია და ანდერძი სახელოვანის წარსულისა არის მტკიცე კავშირი კავკასიის ყოველ მკვიდრთა შორის, და თვითოეული ქართველი მოვალეა დაიწეროს გულის ფიცარზედ ეს წმინდა ანდერძი. ამ მამაპაპთა მიერ ნაცად ძალაშია მხოლოდ ჩვენი ხსნა და ნურც ჩვენ ვუღალატებთ ძველთა გამოცდილების აშკარა აზრს, რომელსაც ასე არ უდგება დაქუცმაცებული შენჩემობა და უსუსური სამაზრო პატრიოტობა. მართალი სთქვა გრიგოლ ორბელიანმა:

კაცი ის არის, ვის გულსაც ესმის
ცოური სიტყვა: «ძმობა, ერთობა».

სანო.

ზედ. უფრო მარჯვე იყო გუშინდელი სროლა შახესთან. ღამე ყინვა ათ გრადუსამდე ადის.

**სუეცი**, 12 ნოემბერი (რეიტერი). 3 საათზედ იზმაილიაზე გაიარა მშვიდობიანად ბალტიის ესკადრის ორმა ჯავშნიანმა გემმა, სამმა კრეისერმა და 9 ტრანსპორტმა.

**ვაშინგტონი**, 12 ნოემბერი. (რეიტერი). ამერიკის ბიუროს «ასსოციატედ პრესს» შეუტყვია სანდო წყაროდგან, იაპონიის ლაშქარმა ბრძანება მიიღო, პორტ-არტურზე იერიში მიიტანოს და დაიუფლოს უმთავრესი სიმაგრეები, რათაც უნდა დაუჯდეს.

**მუკდენი** (საკ. კორესპ.). ყინული ხუნხეზე და ტაიძიხეზე და თხელ-წყლიანობა ხელს უშლის სურსათის გადმოტანას ინკოუდან. ვაგონებისა და ორთქლმავლების ნაკლებობა აფერხებს იარაღისა და კაზმულობის გადმოზიდვას, აგრეთვე დაჭრილთა გადაზიდვას ლიაოიანიდგან დალნიში.—იაპონელები უსწორდებიან ხალხს ომის დროს გამოცემულის ფულით, ამიტომ ამათი ფასი ძალიან დაეცა. მცირე შეტაკებაა ხოლმე მთელს შუბლის ჯარზედ. 8 ნოემბერს ერთი ესკადრონი და რამდენიმე როტა იაპონელებისა გადავიდა იაპონიის ხიდზე სიაოსირთან; ამათ დასჭრეს და ტყვედ წაიყვანეს ასეულის უფროსი ვანდალოვსკი, ხოლო მერე კი უკან დაიწიეს ზარალითა. ღამე 10 საათზე მზვერავნი შეცვივდნენ იაპონელთაგან დაჭერილს სოფლებში, რკინის გზის ლიანდაგიდან დასავლეთად, ესროლეს ჩინლიპუსაკენ მტრის სადგომებსა და ისევ თავის პოზიციაზე დაბრუნდნენ.

### საღამოს დეპეშები.

13 ნოემბერი.

**პეტერბურგი**. ბაქოს გუბერნიის ჯევათის მაზრა და ერევნის გუბერნიის ერევნისა, შარურო-დარალაგეზისა და ჯულფის მაზრები ხოლერის მხრით საშიშოდაა გამოცხადებული.

**მუკდენი**, 12 ნოემბერი. (სააგ. საკ. კორესპ.). თუმცა იაპონელებს ზოგიერთი გზები ხელთ არ ჩაუგდიათ ჯერ, მაგრამ მაინც თავიანთი მართვა-გამგეობა შემოიღეს და მცხოვრებთ გადასახადი დააკისრეს. პირველ საჭიროების სანოვაგეზედ ნიხრი დააწესეს. როგორც ისმის, იაპონელები სურსათ-სანოვაგესა, საქონელსა და საქონლისათვის საკვებ მასალას ჰყიდულობენ კაბანზსა და ცინჯოუფუში და ჩუმად მიაქვთ ნავებით გაიცაოსა და ინკოუს ნავთსადგურებიდგან, სადაც დიდრონი საწყობებია გამართული. არამც თუ ჩინელებს, იაპონელებთან მეგობრულ განწყობილებაში მყოფ ინგლისელ ვაჭრებსაც კი სწყინთ რუსების წასვლა. თუმცა ზამთარი მოახლოვებულია და თოვლ-ჭყაპიც დაიწყო, მაგრამ მაინც ყოველ დღე მოდიან ნუზლ-სანოვაგით დატვირთული გემები.

**სუეცი**, 12 ნოემბერი. (რეიტერი). ორი ჯავშნიანი გემი, სამი კრეისერი და 9 სატრანსპორტო გემი ბალტიის ესკადრისა მოვიდ ა იზმაილიას, სადაც ღამეს გაათევენ. 7 ნაღმოსანი რუსხმულიდგან სუეცს მოვიდა.

**ტოკიო**, 12 ნოემბერი. (რეიტ.). იაპონელთა ჯარების მთავარ-ბანაკიდგან 11 ნოემბრის თარიღით მიღებულ დეპეშის თანხმად, ამ დღეს რუსთა ქვეითა ჯარმა რამდენჯერმე იერიში მიიტანა იაპონელთა ზურგის ჯარზედ ტამუნდუნში. ბოლოს იაპონელებმა ისეთის სიძლიერით დაუშინეს რუსებს თოფ-ზარბაზნები, რომ ესენი იძულებულნი გახდნენ ჩრდილოეთისკენ დაწეულიყვნენ. ამავე დროს რუსის არტილერია ყუმბარებს უშენდა რკინის გზის ხიდს მდ. შახეზედ; 30-ჯერ გაისროლეს შედლუხი («ზალპი»), მაგრამ იაპონელთა პოზიციებს მაინც ვერავითარი ზიანი ვერ მისცეს.

**ბერლინი**, 12 ნოებერი. საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვით, 1095 წლისათვის გადადებულია 70.000,000 მარკა გემების ასაშენებლად.

**შანჰაი**, 13 ნოებმ. (რეიტ.). ჩინეთის მთავრობა ამჟამად არკვევს საგანს, ეხლა დროა მივმართოთ დიდს სახელმწიფოებს თხოვნით, რომ იკისრონ შუამდგომლობა ზავის ჩამოგდებაზეო.

**ლონდონი**, 13 ნოემბერი, (რეიტ.). გაზ. «დელი ქრონიკლი» ამტკიცებს, რომ ინგლისის გემი „ფილც ვილლიამი“, რომელიც 16 ოკდომბერს გამოსულა ლივერპულიდან და უნდა წასულიყო მოტენბურგისაკენ, სადაც სამის კვირის წინად უნდა მოსულიყო, უეჭველი, დაიღუპაო. გემი 20 ოკდომბერს ჩრდილოეთის ზღვაში უნდა ყოფილიყო. ამ ხანში მეორე გემის მეზღვაურებმა განაცხადეს,—ვნახეთ, რომ რომელიღაც ააფეთქეს ჩრდილოეთ ზღვაშიო.

გაზეთებში გამოქვეყნებულია ნიუ-იორკიდგან მიღებული შემდეგი დეპეშა, ხმა დადის, რომ ვინეცუელს მთავრობას აზრადა აქვს გადასცეს რუსეთ საკანონერო ნავი «რესტორადორი», რომელიც წინად სამგზავრო გემი იყო და ეკუთვნოდა ამერიკელ კაპიტალისტს ჰულდისაო.

**სეული**, 11 ნოემბ. (რეიტ.). ამ ჟამად კორეიაში დიდი პოლიტიკური მოძრაობა. როგორც ისმის, უნდათ გააუქმონ ახლად დაარსებული პოლიტიკური საზოგადოება.

**პეტერბურგი**. კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა, 12 ნოემბრის თარიღით: 11 ნრემბერს მანჯურიის ლაშქრის მთელს შუბლზედ არტილერიისა და თოფების ძლიერი სროლა იყო იმ ადგილებისაკენ, სადაც მიწას მუშაობდნენ. სროლა ორსავე მხარეზედ იყო. 11-სა და 12 ნოემბერს ბრძოლის თაობაზედ მოხსენებანი არ მიგვიღია.

---

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

---

### გამოსადეგი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

9 ნოემბერს 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 93,60 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,35 |
| ბერლინში ,, | 47,30 |
| პარიჟში ,, | 37,52 1/2 |
| ბირჟის დისკონტი | 6—7 1/2 % |
| 4% სახელმწიფო რენტა | 92 ნ. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა | 89 3/8 მსყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 419 3/4 ნ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 310 წ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 271 ნ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4 1/2 % ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — |
| 4 1/2 % ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | 9 3/4 წ. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 87 3/8 წ. გაყ. |

---

**სახალხო ბიბლიოთეკები.**

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა».

ტფილისში:

1) სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში. ღია არის დილის 10—2 საათ. საღამ. 5—7 „ კვირა-უქმეს—დილ. 11—1 „

2) ნაძალადევში, ვოლოპროვოდის ქ., № 131. ღია არის დილით 10—2 საათ. საღამ. 5—9 „

3) ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19 ღია არის დილით 10—2 საათ. საღამ. 5—8 „

---

**საავადმყოფოები:**

**ქალაქის სახაზინო საავადმყოფო**,—მიხეილის ქუჩა, სახაზინო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო**—მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა უფასოა. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვიჩი

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა**.—კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტეროვისა. გამგე ექიმი ი. იგიტიანცი.

**კუკიისა**—ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი თათევოსიანცი.

**თვალების სამკურნალო**—კრილოვისა და ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე, სახლი ლიბერმანისა, № 15 (ლიბერმანის სტამბის ზემო სართულში). ავადმყოფთ უფასოდ აძლევენ რჩევას. სამკურნალოს გამგე-დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ქალი პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის**—უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე. ბარონ ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის** საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი —ფასიანი, თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

**ქალაქის უფასო ღამის თავშე-საფარი სახლები**:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ძელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

# განცხადებანი


იბეჭდება და ნოემბერში გამოვა

ახალი საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ნაკადული“

მოზრდილ და მცირე-წლოვან ყრმათათვის, თვეში სამი წიგნი—ორი მცირე წლოვანთათვის და ერთიც მოზრდილთათვის, პედაგოგიურ ფურცლის დამატებით. წელიწადი—1-ლ ნოემბრიდგან 1-ლ ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: მთელის წლით ერთად ორივე გამოცემა 5 მან., ცალკ-ცალკე—3 მან. ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება თითო მანეთის გამოგზავნა.

გამომცემელი ჟურნალისა კნ. ნინო ელიზბ. ქობულოვისა.

რედაქტორები { კნ. ელის. დ. ერისთავისა. / ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.

**ადრესი**: Тифлисъ, Редакція «НАКАДУЛИ»

---

**გამოვიდა და ისყიდება**

ახალი წიგნი

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ.

წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს ერთ მანეთად.

ადრესი: **книжная торговля Іос. Зах. Имедашвили, Георгіевская ул., домъ Арджеванидзе, противъ Александровскаго сада.**

---

## ვკისრულობ

კორექტურულ საქმეებს იაფ ფასად და საიმედოდ. მსურველთ მიჰმართონ «ივერიის» რედაქციაში, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, დ. ჯ.-ს. (0—უ—1).

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან

## ნაწერები ს. მესხისა

ტ. 1. II+533 გვ.

ავტორის სურათით და ავტოგრაფით, გამოცემა ს. ფარცხალავასი. ფასი ერთი მ. უმთავრესი საწყობი «წ. კ. გამავ. საზოგადოებაში».

---

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგარდოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვლის (3—3)

---

# საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს № საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, 4 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—24)

---

## ხუთი ახალი წიგნი

წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ს გამოცემა.

| | |
|---|---|
| ილია ჭავჭავაძის ლექსები | 15 კაპ. |
| რაჭა, სოსიკო მერკვილაძისა | 20 ,, |
| რაშია ბედნიერება, იასე რაჭველისა | 10 ,, |
| სამშობლო და კაცობრიობა, ივ. მაჭავარიანისა | 10 ,, |
| ნაკვესები ქართველ მწერალთა და ბრძენთა ნათქვამი | 7 ,, |

ვინც ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნების, თვითეულ გამოცემიდგან იყიდის არა ნაკლებ ერთის მანეთისას, ყოველ მანეთში დაეთმობა თითო აბაზი. მისამართი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“. (40—40). მაღაზიის პატრონი სოსიკო მერკვილაძე.

---

გაზეთ „ივერიის“ რედაქციამ შესაძლებლად სცნო ა. სუმბათაშვილი' 5 მოქმედ. დრამა-ლეგენდა

## ლალატი,

თარგმნილი გრ. ყიფშიძის მიერ, დაეთმოს მსურველთ 50 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს მოითხოვს, თითო წინგნი დაეთმობა ორ აბაზად, აგრეთვე ფას დადებით დაეთმობათ მსურველთ გაზეთ «ივერიის» მიერ გამოცემული შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

თითო ცალი 10 კაპ.

ვინც ათ ცალს ანუ მეტს წაიღებს, დაეთმობათ თითო ცალი 5 კაპ.

---

## ახალი გამოცემანი

1) **იავნანამ რა ჰქმნა?** მოთხრობა ი. გოგებაშვილისა, მეოთხე გამოცემა, მეთორმეტე ათასი, ფასი ერთი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა ოთხ კაპეიკად. ვინც ოცობით—სამ კაპეიკად.

2) **ბურჯი ეროვნებისა**, მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობით იყიდის, დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ოცობით—15 კაპეიკად.

3) **Къ вопросу о мингрельской школѣ**, მისივე, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

4) **Правда о Тифлисѣ**, მისივე, მეორე, ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი. იგივე დათმობა.

5) **Какъ поднять Кавказкую народн. школу**, მისივე, ფასი ექვსი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 24 კაპეიკად, ვინც ოცობით—22 კაპეიკად. (5—5).

---

პირველად ქართულს ენაზე

ყველასათვის **საჭირო** და **სასარგებლო** წიგნი

## უცხო სიტყვათა ლექსიკონი

რომელშიაც შეკრებილი და განმარტებულია ათი-ათასამდე უცხო სიტყვა ყველასთვის გასაგების ენითა და მაგალითებით, რუსულისა და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონებისა, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ჟურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი იოსებ იმედაშვილის-მიერ. წიგნს დართულ აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხ. «**უცხო ანდაზები და წინადადებანი**», რომელიც არა ერთ გზის იხმარება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზედ და ჰღირს მხოლოდ ერთი მან., ჩვეულებრივის ყდით 1 მ. და 15 კაპ., საუცხოვო (ოქროს ვარაყიან ასოებით დაბეჭდილი) კალენკორის ყდით მანეთ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 20 კაპ.; წიგნი ფას-დადებითაც (съ налож. пл.) შეიძლება გაიწეროს. უმთავრესი საწყობია ტფილისში, ქაშვეთის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, გამომცემლის წიგნთ-სავაჭროში. ადრესი: Тифлисъ. Книжная торговля, Іос. Зах. Имедашвили. (10—4)


Дозволено цензурою Тифлисъ, 13 ноября, 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи.